



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

הנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ივლისი
აბი
№7 (443)
(5778)
2018

“הנורה”

עיתון יהודי

בגוריה

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბ-ნ მამუკა ბახტაძეს

ბატონო მამუკა,

ნება მომეცით, გულთადად მოგილოცოთ ესოდენ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ იერარქიაზე თქვენი წარმოჩენა. თქვენ საქართველოს მესაჭე გახდით მისი დიდი ისტორიის არცთუ სახარბიელო მონაკვეთში და მოგიწევთ არა მხოლოდ მოსახლეობის კეთილდღეობის, ჩვენი ქვეყნის ღირსებისა და ავტორიტეტის ამაღლებაზე ზრუნვა.

კონკრეტულად:

საქართველოს ანდათხოვნილმა მთავრობამ უარი თქვა აშშ პრეზიდენტის — დონალდ ტრამპის 2017 წლის 1 დეკემბრის ინიციატივის შესაბამისად, იერუსალიმი ეცნო ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქად. ამით საქართველოს ხელისუფლება იმ ქვეყნების მთავრობათა მწკრივში ჩადგა, რომლებიც ისტორიულ ქვეყნობებს არაფრად დაგიდევნენ და ერებს იმის უფლებასაც კი ართმევენ, თავად აირჩიონ, თუ რომელი ქალაქი იყოს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-კულტურული ცენტრი.

მაგრამ საქართველოსა და ისრაელის, ქართველი და ებრაელი ხალხის ისტორიული ურთიერთობა თითქმის რადიკალურად განსხვავდება იმ ქვეყნებისა და ისრაელის ურთიერთობისაგან, რომლებმაც უარი თქვეს (მტკიცედ მჯერა: ჯერ-ჯერობით!) აღიარონ რეალობა: ქართველი და ებრაელი ხალხის ურთიერთობა დაინყო მაშინ, როცა ეს სახელმწიფოები არც არსებობდნენ. იმ ქვეყნებსა და საქართველოში სრულიად განსხვავებული გახლდათ ებრაელთა ყოფა. ამ თეზის დასადასტურებლად შემიძლია „ქართლის ცხოვრების“ პასაჟები, გნებავთ, სხვა ისტორიული წყაროები მოვიხმო, მაგრამ ყველაფერი ეს იმდენად ცნობილია, არა ვგონებ, აუცილებელი იყოს. თანაც ცდილობ ბევრი დრო არ წაგართვათ.

დაახ, ჩვენი სახელმწიფოები და ხალხები ჯერ კიდევ მაშინ მეგობრობდნენ და იერუსალიმს ისრაელის დედაქალაქად სცნობდნენ, როცა ქვეყნობებს ზურგ-შეკეცილი სახელმწიფოები არც არსებობდნენ, ხოლო გვიან საუკუნეებში უამრავ მიზეზს პოულობდნენ იმისთვის, რომ თავთავიანთი ქვეყნის ებრაული მოსახლეობა ენიოკებინათ.

ისრაელი და საქართველო დღესაც მეგობრულ, პარტნიორ სახელმწიფოებად მიიჩნევიან, მაგრამ ზოგჯერ მეჩვენება, რომ საქმე დეკლარირების იქით არ მიდის. გადავხედოთ ჩვენს უახლოეს წარსულს: ამ რამდენიმე წლის წინათ, საქართველოს მთავრობამ მიიღო ისრაელის სახელმწიფოებრიობის ერთობ საზიანო გადაწყვეტილება: სეპარატისტული პალესტინის ავტონომია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ სცნო. ისრაელს არა-რა საპასუხო ნაბიჯი არ გადაუდგამს — საქართველოსთან მეგობრული თანამშრომლობა ისე განაგრძო, თითქოს არც რამ მომხდარა.

მაშინ ხმა დაირხა, საქართველოს მთავრობის ესოდენ შეუსაბამო ქმედება, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მითითებითა, თუ შეთავაზებით გადაიდგაო.

არ არის იოლი უარი უთხრა ისეთი დიდი და მეგობრულად შემწე სახელმწიფოს მითითება-შეთავაზებას, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია, მაგრამ ერთობ გაუგებარი და მრავალი უსიამოვნო შეკითხვის განმაპირობებელია შემდეგი: თუ გასათვალისწინებელია აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მითითება-შეთავაზება პალესტინის ცნობაზე, რატომ არის უკუსაგდები, არარად ჩასაგდები აშშ პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ინიციატივა და მოწოდებაც კი იერუსალიმი აღიარონ ისრაელის დედაქალაქად?

სავარაუდოა, ჩვენმა ხელისუფლებამ უახლოესი მეზობელი სახელმწიფოების ისრაელისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას გაუწია ანგარიში. მიმანია, რომ 26 საუკუნოვან ურთიერთობასთან სხვა ქვეყნების პოლიტიკური კონიუნქტურა არაფერი მოსატანია. მთავარი კი შემდეგია: ამ მეზობელ სახელმწიფოებს, აგერ, გუმინ, გუმინსნინ, ისრაელთან ერთობ კეთილმეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. მჯერა, ხვალ-ზეგ წყალი დაინმინდება და ისინი ისევ ხელჩახვეული ივლიან, ჩვენ კი ჩვენი ამორფული, გაუგებარი უარის თქმით დავრჩებით ქვეყნობისადმი ზურგშეკეცილები.

ეკადრება ეს საქართველოს ისტორიას, კულტურას?

ბატონო პრემიერ-მინისტრო, გადავწყვიტე რა თქვენი ყურადღება მივაქციო ჩემი შეხედულებით, ერთობ არასწორ პოზიციას, მიზნად ისიც მოგახსენოთ, რომ საქართველოს კიდევ ერთი სიმი — ქართულ-ებრაული ურთიერთობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია — ეს საკითხი განიხილება ჩემს რომანებში, პიესებში, პუბლიცისტიკაში, ჩემი პიესების მიხედვით საქართველოს თეატრებში განხორციელებულ სპექტაკლებში.

დაახ, ეს საკითხი მაღელვებს და გარწმუნებთ, არა მხოლოდ მე. იმდეს ვიტოვებ მას გადაწყვეტთ ქართველი და ებრაელი ხალხის ისტორიულ ურთიერთობათა გათვალისწინებით. ვამბობთ, ვნერთ, რომ დღევანდელ მსოფლიოში ბევრი ქვეყანა აღარ არის, რომელსაც ისრაელთან საქართველოსაებრ ჰქონდა ურთიერთობა და ეს საქმითაც უნდა დადასტურდეს.

პატივისცემით ბურამ ბათიაშვილი

მწერალი, დრამატურგი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის სტრატეგიული საბჭოს წევრი, საქართველო-ისრაელის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. თბილისი, 27.06.2018 წ.

ქნესეთმა მნიშვნელოვანი კანონი მიიღო

19 ივლისს ქნესეთმა დიდი კამათის, არაბი დეპუტატების წინააღმდეგობის მიუხედავად, დაამტკიცა ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც ისრაელი ეროვნულ-ებრაელთა სახელმწიფოდ ცხადდება. სახელმწიფო ენად — ივრითი. არაბული ენა, რომელიც აქამდე ივრითთან ერთად სახელმწიფო ენად იყო მიჩნეული, ამ სტატუსს კარგავს. კანონი განამტკიცებს იერუსალიმის, როგორც ისრაელის დედაქალაქის სტატუსს. შაბათი და ებრაული დღესასწაულები ცხადდება ებრაელი ხალხის კალენდრის განსაკუთრებულ დღეებად. ამას გარდა, აღნიშნავს, რომ ისრაელი მზად არის მიეშველოს გასაჭირში ჩავარდნილ ებრაელი ხალხის წარმომადგენლებს. ახალ კანონში ხაზგასმულია, ისრაელის, როგორც ეროვნული სახელმწიფოს, მტკიცე კავშირი ებრაულ დიასპორასთან.

კანონში ხაზგასმულია, რომ ისრაელის მოქალაქენი, მიუხედავად რელიგიური და ეროვნული კუთვნილებისა, არიან თანაბარუფლებიანი, მათ აქვთ შესაძლებლობა შეინარჩუნონ თვითმყოფადობა და კულტურული მემკვიდრეობა.

ამ კანონპროექტის განხილვისას და მისი დამტკიცების შემდეგაც, ქნესეთის არაბი დეპუტატები ანტიისრაელურ ლოზუნგებს გაჰყვიროდნენ. ნესრიგის დარღვევისათვის გაერთიანებული არაბული სიის დეპუტატები სხდომათა დარბაზიდან გაძევებული იქნენ.

ბინიამინ ნეთანიაჰუ: ეს არის გადამწყვეტი მომენტი სიონიზმისა და ისრაელის ისტორიაში. როცა უცხოელ კოლეგებს ვხვდები, ვცდილობ ავუხსნა, რომ ებრაელ ხალხს ეს ერთი სახელმწიფო აქვს, არაბებს კი უამრავი. ბევრს ამის გაგება არ სწავლია. კამათობენ, ცდილობენ შეარყიონ ჩვენი სახელმწიფოს საფუძვლები.

კანონპროექტის ერთ-ერთმა ავტორმა **აბი დისტერმა** თქვა:

—ეს კანონი გახლავთ იმაზე გაცემული პასუხი, ვინც ცდილობს ისრაელი არ იყოს ეროვნული სახელმწიფო. არაბ დეპუტატთა გამოსვლებს რომ ვუსმენდი, გასაგები იყო, თუ რა ენადათ: ისინი გვეუბნებოდნენ: ჩვენ აქ ყოფავით, მანამ სანამ თქვენ მოხვიდებით და ვიქნებით თქვენს შემდეგაც. კანონი კი მათ პასუხობს: ჩვენამდე თქვენ აქ არ ყოფიხართ, ერთადერთი, რაც თქვენ შეგიძლიათ, არის ის, რომ ჩვენს სახელმწიფოში იცხოვროთ, როგორც ეროვნულმა უმცირესობამ, სადაც გექნებათ ყველა უფლება, როგორც უმცირესობას.

კანონპროექტის თანაავტორმა **იაირ ლევიმმა** საზოგადოებას შეახსენა რომ ებრაელობა ეს ერთი სახელმწიფო აქვს — ისრაელი, არაბებს კი 21 არაბული სახელმწიფო.

პარტია „მერეცის“ თავმჯდომარემ **თამარ ზანდბერგმა** გაილაშქრა კანონის წინააღმდეგ: „ეს დღესასწაული კი არა, სირცხვილია!“.

აქვე დავესძინოთ, რომ ისრაელის პარლამენტში კენჭისყრისას კანონპროექტს ხმა მისცა 52 დეპუტატმა, 55 წინააღმდეგი გახლდათ, ორმა თავი შეიკავა. მკითხველს კიდევ ერთ ინფორმაციას მივანვლით: ქნესეთში „გაერთიანებულ არაბულ სიას 11 დეპუტატი ჰყავს. ეს კი იმას ნიშნავს, კანონის მიღების წინააღმდეგი 42 ებრაელი დეპუტატი გახლდათ.

„სოხნუთის“ ახალი თავმჯდომარე

იერუსალიმში გაიმართა სოხნუთის მზრუნველთა საბჭოს სხდომა, რომელიც გახსნა მსოფლიოს სიონისტური ორგანიზაციის თავმჯდომარემ აბრამ დუვევანმა.

— ძალიან რთული გახლდათ შეგვეჩრია, ნათან შჩარანსკის შემდეგ თუ ვინ იქნებოდა „სოხნუთის“ ახალი თავმჯდომარე. არჩევანი იცხაკ ჰერცოგზე შევაჩერეთ, მივიჩინეთ, რომ ეს არის საუკეთესო კანდიდატურა.

კენჭისყრის შემდეგ იცხაკ ჰერცოგი ერთხმად იქნა არჩეული „სოხნუთის“ ახალ თავმჯდომარედ.

მკითხველს ვაუწყებთ, რომ იცხაკ ჰერცოგი მემარცხენეთა ბანაკის ერთ-ერთი ლიდერია და ქვეყნის პრემიერი ბინიამინ ნეთანიაჰუ არც თუ ძლიერ მოხარული გახლავთ ამ არჩევანით.



ებრაული სააგენტოს — „სოხნუთის“ პრესრელიზში ნათქვამია, რომ ევრაზიის სიონისტური „კერენ ჰა იესოდის“ პრეზიდენტად აჩეულია მიხეილ მირილაშვილი. მიხ. მირილაშვილი ერთ-ერთი დიდი ფილანტროპია, იგი ძალიან უჭერს მხარს ისრაელის ეროვნული ფონდის მოღვაწეობას. 24 ივნისს გაიმართა ებრაული სააგენტოს ყოფილი თავმჯდომარის, ცნობილი დისიდენტის ნათან შჩარანსკის დაჯილდოება. იგი დააჯილდოვეს იერუსალიმის მცველის (მაგენ იერუსალიმ) პრემიით. პრემიის გადაცემის საპატიო მისია წილად ხვდათ კერენ ჰა იესოდის მსოფლიო მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარეს დავიდ კუმიცკის და ფონდის ახლადარჩეულ პრეზიდენტს მიხეილ მირილაშვილს.

„დავითის ფარის“ (მაგენ დავიდი) გამოსახლება

II-III სს. ებრაულ საკინძე (გონიო-აფსაროსი)

გურამ ლორთქიფანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისრაელის ცენტრის“ ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პროფესორი



სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, გონიო-აფსაროსის ციხე-ქალაქის არქეოლოგიური გათხრების დროს სამხრეთ კარიბჭესთან, აბანოთუბანში (შნ II სექტორის 69-ე კვადრანტი) ახ. წ. II-III სს. კულტურულ ფენაში 0,50 მ სიღრმეზე მრავალფეროვან არტეფაქტებს შორის აღმოჩნდა ბრინჯაოს საკინძის ფრაგმენტი (სურ. 1, 2). შემორჩენილია 2,2 სმ დიამეტრის მქონე, ბრტყელი, მრგვალი თავი და ყუნწის ნაწილი. შუბლზე ამოღებული აქვს გეომეტრიული ფიგურა ჰექსაგონი ანუ ექვსკუთხედიანი ვარსკვლავი (სურ. 3).1 ესაა ებრაული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო – მენორასთან ერთად. ის „დავითის ვარსკვლავის“ სახელით (ებრაულად მაგენ დავიდი) არის ცნობილი. სხვა ძველადმოხსენებული ცივილიზაციებისგან განსხვავებით, მას არა მარტო ასტროლოგიური დატვირთვა ჰქონდა, ის განასახიერებდა ზებუნებრივ ძალას, სამყაროს ფილოსოფიურ გააზრებას. ებრაულ რწმენა-წარმოდგენებში „დავითის ვარსკვლავი“ ზეციური და მიწიერი, შეუთავსებელი სტიქიების — ცეცხლისა და წყლის ერთიანობის მაგიური სიმბოლოა, ამასთანავე მამაკაცური და დიაცური სანების საფუძველი. „ერეც – ისრაელის“ ნაყოფიერებისა და უსაფრთხოების მცველი. ამის გამოა, რომ ის თანამედროვე, აღორძინებული ისრაელის სახელმწიფო სიმბოლიკის ძირითადი ნაწყვანი ელემენტია [დანვრ. იხ. 2. Attias J., Ben Bass E., არის 1997 ს.ვ. „Magen David“; თოფჩიშვილი-გიგინიშვილი ე. თბ., 2012, გვ. 146-163]. ებრაულ „ბით კნესეთში“ სალოცავებში (სინაგოგებში) ტრადიციულად „დავითის ვარსკვლავს“ გამოხატავენ ცენტრალურ კედელზე, იმ კარადის თავზე, სადაც თორა ინახება. ის აქ „შინას“ ღვთიური სულის არსობის მაჩვენებელია. ამიტომ, რომ სინაგოგაში ქალებისათვის კაცების საპირისპირო, ზედა საპატიო ადგილია გამოყოფილი. ისინი ცალკე ლოცულობენ, მაშინ როცა მოესურვებათ, ყოველგვარი რეგლამენტაციების გარეშე. „დავითის ვარსკვლავი“ შედგენილია ორი სწორკუთხა სამკუთხედის ერთმანეთის საპირისპიროდ, ერთმანეთზე დადების შემდეგით. ის აღიქმება შესაქმის ექვსი დღის

სიმბოლოდაც. ბიბლიური ტრადიციით „მაგენ დავიდი“ ამშვენებდა დიდი დავით მეფისა და წინასწარმეტყველის (ძვ.წ. 1055-1015 წწ.) ძღვევამოსილ, მძიმედ შეიარაღებულ ჯარისკაცთა ფარებს - „დემონთა დასაფრთხობლად“. ეს მოტივე ფართოდ იყო გავრცელებული ებრაულ სამყაროში, მათი გამოსახულებებით ამკობდნენ აშუღლებებს, „მეზუზებს“ და მენორებს ძვ.წ. VII ს-ით თარიღდება ქალაქ სიდონის გათხრებისას ნაპოვნი ბეჭედ-საბეჭედი... ებრაული წარწერა გვამცნობს, რომ ის ეკუთვნოდა ვინმე „იეზიშეია ბენ ასაიახუს“ ცნობილ კაპერნაუმის სინაგოგაში, მის ფრიზს ამშვენებდა „მაგენ დავიდი“. იერუსალიმის შემოგარენში „ეან ეალეში“ არქეოლოგებმა გამოავლინეს რომაული ხანის ვილა, რომლის იატაკის დეკორს „მაგენ დავიდი“-ს მოტივები ახასიათებს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი „დავითის ვარსკვლავის“ გამოსახულებიანი ბრინჯაოს საკინძი იუდაელ ლეგიონერს ან ვაჭარს ეკუთვნოდა. არქეოლოგიური გათხრებით დადასტურებულია ისტორიული ფაქტი, რომ აფსაროსი ახ.წ. I-III სს. წარმოადგენდა რომის იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორპოსტს. აქ იდგა რომაული X, XII, XV ლეგიონების ცალკე ვექსილაციები [3. Мамуладзе Ш., Халваши М., Асланишвили Л. М., 2002, გვ. 38-41]. სპეციალისტები არ გამორიცხავენ იმ გარემოებას, რომ აფსაროსში გადმოსროლილი ყოფილიყო იუდეა-პალესტინაში დისლოცირებული X ლეგიონის საინჟინრო-სამშენებლო ნაწილები აფსაროსის კასტელუმის წყალგაყვანილობის მოსაწყობად II ს. [4. გამყრელიძე გ, თოდუა თ. 2006, გვ. 65, 66]. ამ ფონზე შეიძლება თამამად ითქვას, რომ იუდეასა და აფსაროსის კასტელუმს შორის პირდაპირი კონტაქტების არსებობაზე, აქ აღმოჩენილ სხვა რომაულ დენარებთან ერთად, მეტყველებს მისი იდუმალი სიკვდილის წინ, იერუსალიმში 44 წელს მოჭრილი იუდეას მეფის აგრიპა I ჰეროდეს მოხეტაც (5. ვარშალომიძე, ბათუმი, 1999, გვ. 89).

ძნელია არ დაეთანხმო ახალგაზრდა მკვლევარს ემზარ კახიძეს, რომელიც თავის სადოქტორო დისერტაციაში აღნიშნავდა: „რომის იმპერიასთან — დასავლეთთან თანამშრომლობამ ქართველობის „თავისთავადობის შენარჩუნებას უფრო მეუწყყო ხელი, ვიდრე ეს აშკარა დაპირისპირების პირობებში იყო შეასაძლებელი“ (კახიძე ე. თბ., 2002, გვ. 12)

რომაული პროვინციებიდან, იუდეა პალესტინა



ნა იერუსალიმ-კაპადოკიიდან შემოვიდა ჩვენში ქრისტიანობა, ჩვენი კულტურის საფუძველი.

* მაღლობას მოვასხენებთ პროფ. შ. მამულაძეს, გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს, გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორს პუბლიკაციის ნებართვისათვის [1. კახიძე ა., მამულაძე შ., ბათუმი, 2004, გვ. 4-107, აქვე იხ. ებრაული ტ., გვ. 108-116.

ბიბლიოგრაფია:
1. კახიძე ამირან, მამულაძე შოთა. სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბანის ტერიტორიაზე 1995-1999 წწ. წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები. კრ. გონიო-აფსაროსი, IV, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2004. The same collection contains publications on the I-III cc. import ceramic found at the gateway (Ebralidze T.), glassware (Shalikadze T.) ანდ ნუმისმატიკ მატერიალ (სეე ვარშალომიძე ირინა. სამხრეთ კარიბჭესთან აღმოჩენილი მონეტები, პპ. 141-146).
2. Attias J., Ben Bass E., Dictionnaire de Civilisation Juive Larousse, Paris, 1997; თოფჩიშვილი-გიგინიშვილი ეთერ. ებრაული სიმბოლოები. სოხუნტი – გამომცემლობა „ვიქტორია“.
3. Мамуладзе Ш., Халваши М., Асланишвили Л. Римские гарнизоны Апсара. Ж. Вестник древней истории, М., 2002, № 1. Тб., 2012.
4. გამყრელიძე გ., თოდუა თ. რომის სამხედრო პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში. „საუნივერსიტეტო გამოცემა“, თბ. 2006.
5. ვარშალომიძე თ. გონიო-აფსაროსის ნუმისმატიკური მასალების მიხედვით. ლიტერატურული აჭარა, ბათუმი, 1999, № 7; see also his მაკედონური და იუდეური მონეტები გონიო-აფსაროსიდან. ლიტერატურული აჭარა, ბათუმი, 1999, № 2.
6. კახიძე ე. რომის იმპერია და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი ახ. წ. I-V სს. თსუ, ავტორეფერატი. თბ., 2002.



9 აბი (წელს 22 ივლისი) ებრაელთა გლოვის დღეა. ამ დღეს ჩვენ ვიგონებთ იმ ტრაგიკულ მოვლენებს, რაც ებრაელ ხალხს 9 აბს გადახდა და როგორც მთელი მსოფლიოს ებრაელობა, ქართველი ებრაელობაც მწუხრით გახლავთ მოცული.

ქართველ ებრაელთა ტრადიციის მიხედვით, ამ დღეს ჩვენ ვიგონებთ იმ ქვეყნად გარდასულ ახლობლებს. 22 ივლისს ხალხმრავლობა იყო თბილისის ებრაელთა სასაფლაოზე. მოდიოდნენ ადამიანები მეგობარ-ნათესავ-ახლობელთა საფლავებთან, საფლავის ქვაზე პატარა კენჭს დადებდნენ და ამით პატივს მიაგებდნენ მათ ხსოვნას. აქ ნახავდით თბილისიდან წასულ — ისრაელში, აშშ-ში თუ სხვა ქვეყნებში გადასახლებულ ქართველ ებრაელებს, რომლებიც მხოლოდ იმისთვის ჩამოვიდნენ თბილისში, ძვირფას საფლავებს პატივი რომ მიაგონ. იმ თბილისელებსაც კი შეხვდებოდით, კარგა ხანია ქალაქში რომ არ შეხვედრიხართ. ტრადიციის, გარდასულთადმი პატივის მიგება დიდი სიკეთეა და კარგი ყოფის სანინდარი.

გლოვის დღე თბილისის სასაფლაოზე



სიტყვა კვირტია, საქმე კი ნაყოფი

ნათქვამია: შენ, შენი ცხოვრების წესით ელაპარაკები სამყაროს. ამ გამოთქმის ჭეშმარიტებაში დავრწმუნდით, როცა ლიკა მამია-ხარაზიშვილს შევხვდით. ამ ახალგაზრდა ქალთან საუბრისას, მოჩუხჩუხე წყაროს ენერჯია იგრძნობოდა. თურმე ნუიტყვით, ბავშვობიდანყოფილა დაუდგრომელი და იმდენად ცელქი, რომ მშობლებს ეეჭვებოდათ კიდევ, თუ როგორ ისწავლიდა და რას მიაღწევდა.



ლიკა მამია-ხარაზიშვილი დაიბადა თბილისში, გურამ და ლანა ხარაზიშვილების ოჯახში. ბატონმა გურამმა სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაიცვა დისერტაცია და თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს წამყვანი ალერგოლოგი გახლდათ. ისრაელში თერაპევტად მუშაობს პოლიკლინიკაში „მეუხედე“. ქალბატონი ლანა თბილისის უნივერსიტეტის, აღმოსავლური ენების ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. ამჟამად, პოლიკლინიკა „მაქაბის“ ერთ-ერთი ფილიალის სამდივნოს თანამშრომელი. თბილისში ლიკამ მხოლოდ დაწყებით სკოლაში ისწავლა. ზოგადსაგანმანათლებლოში დაიწყო, შემდეგ გააგრძელა კოლეჯში ინგლისურის პროფილით. თითქოს დაებედა სკოლების შეცვლა. ისრაელში ამოსვლის შემდეგ, ოთხ სკოლაში სწავლობდა. ჩემ შეკითხვაზე: არ გიჭირდა შეჩვეული გარემოს შეცვლა? მიპასუხა, რომ ადგილი ჰქონდა სიძნელეებს, მაგრამ იმავდროულად, გარკვეული ბარიერების დაძლევა, ცხოვრებისთვის ამზადებს მოზარდს. მას თავიდანვე აინტერესებდა ზუსტი მეცნიერებები: ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა და განსაკუთრებით ბიოლოგია. ლიკა ჩართული იყო მეტად შემეცნებით პროექტში „მიხაელ“, სადაც მონაწილენი ეუფლებიან სწავლისადმი მიდგომის თავისებურებას და საკუთარ თავში გარკვევას.

ტიხონის ხუთი ერთეულით დამთავრების შემდეგ, ლიკამ რამდენიმე ეტაპად გაიარა შემომნება, რათა „ცაჰადიმი“-ს ტექნოლოგიური დაზვერვის ქვეგანყოფილებაში მოხვედრილიყო. ჩარიცხვის შემდეგ, ინტენსიური მოსამზადებელი კურსი გაიარა სწავლის 12 საათიანი რეჟიმით. როცა სამხედრო სამსახურზე ვკითხე, მან დუმილი ამჯობინა. ცნობილია, რომ დაზვერვა ყოველთვის გასაიდუმლოებულია. იქ მიღებული გამოცდილება კი, გამოადგა — ჰაიტექის კომპანიაში „Verint“ დაიწყო მუშაობა. ეს კომპანია ამარაგებს საზღვარგარეთის დიდ ფირმებს მრავალი ტექნოლოგიური სიახლით. „მაგალითისთვის რას დამისახელებ?“ ვეკითხები. „თავად მე ვიყავი წარგზავნილი სინგაპურში, სადაც პოლიციისთვის საიდუმლო სატელეფონო სისტემა შეიძინეს.“ „იქიდანაც ჩამოიტანე რაიმე ახალი?“ „არა, ისინი ჩვენი მომხმარებლები არიან.“

„კარგი სამუშაო პირობების მიუხედავად, მაინც წამომეჭრა უმაღლესი განათლების საკითხი,“ ამბობს ლიკა. მან ბარ-ილანის უნივერსიტეტს მიაშურა. ჩარიცხვა ნეირომცენების ანუ ტვინის შემსწავლელი მეცნიერების ფაკულტეტზე, რომელიც ათავსებს სამი მეცნიერების: ფსიქოლოგიის, ბიოლოგიისა და კომპიუტერის შესწავლას. თავის სამსახურში სტუდენტურ განაკვეთზე დატოვეს და კვირაში ორჯერ მუშაობას ხელი არ შეუშლია მისთვის.

„ბაკალავრის დამთავრების შემდეგ, უნივერსიტეტის ლაბორატორიაში დავეინყე მუშაობა იმ პროექტის ფარგლებში, რომელიც ბარ ილანისა და თავდაცვის სამინისტროს ერთობლივი ეგიდით ეწყობოდა,“ ამბობს ლიკა. მან მაგისტრატურის თემად აირჩია „დოპამინის სიგნალის მნიშვნელობა ადამიანის ტვინში.“ ვერაფერი ვერ გავიგე მეთქი, რომ ვუთხარი, ლიკას გულიანად გაეცინა. „დოპამინი გახლავთ ქიმიკალი ტვინში, რომელზეც დამოკიდებულია ადამიანის მოტივაცია. თვალის გახელიდან მთელი დღის განმავლობაში დოპამინი იძლევა ქმედების სიგნალს და ჩვენ ვიკვლევთ მის მოქმედებას რეალურ დროში.“ მგონი, მივხვდი, გავიფიქრე მე. ცდება, როგორც წესი, თავებზე ატარებენ. სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, თავდაცვის სამინისტრო აფინანსებს ლაბორატორიას, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ აფართოებს საქმიანობას. „შენ თვითნებურად დაინყე ამ თემაზე მუშაობა?“ „რა თქმა უნდა, ლაბორატორიის უფროსის თანხმობით“ მიპასუხა მან.

მოიპივრა, მეორე სამეცნიერო ხარისხი, ლიკა სამუშაოდ გადავიდა ცნობილ კომპანიაში „Waze“, რომელიც „Google“-ს შეესაბამება, მაგრამ მათ თავიანთი ბრენდი მაინც შეინარჩუნეს.

— „ეს ისრაელის სტარტაფია, რომელიც დიდი მოთხოვნილებით საგებლობს მთელ მსოფლიოში. ეს სფერო ამოუწურავია და მე ძალიან მიყვარს ჩემი სამსახური. მივინებები საზღვარგარეთ, აფართოებს ცოდნის დიპაზონს. ახლახან დაებრუნდი შეერთებული შტატებიდან, სადაც სალექციო ციკლით წარვსდექი კაროლინას შტატის „Waze“ წარმომადგენლობაში, სადაც ახალბედა თანამშრომლები და მოხალისეები მუშაობენ veiz-ის რუკების დამონტაჟებაზე. შარშან, იგივე მისიით ფილადელფიის შტატში გახლდით.“

ლიკას ვთხოვე თავის ოჯახზე ეამბნა. — „ჩემი დაიკო თეა ჩემზე უფროსია. პატარაობიდანვე სერიოზული და ძალიან ნიჭიერია. მან, როგორც საუკეთესო მოსწავლემ, „ათუდას“ (წარჩინებული მოსწავლეების უმაღლესი განათლებას ჯარი აფინანსებს) უფლებით დამთავრა იერუსალიმის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ბაკალავრის დიპლომით და მაგისტრატურაც. ამჟამად, იგი თელ-ავივის ოლქის მთავარი პროკურორის მოადგილეა. ჰყავს ქმარი და პატარა გოგონა. ჩემთვის კონკურსგარეშე



ავტორიტეტი, სანდო ადამანია, რომელსაც გულს მთლიანად გადაუშლი. მე-10 კლასში ვიყავი, როცა კობი მამია შემეყვარდა, იგი ინჟინერია, მისი წინაპრები სირიიდან არიან. სტუდენტობისას დავეკორწინდით, გვყავს ორი გოგონა, 5 წლის ოფირი და 3 წლის რონი. ახლა ვხვდები, რამდენად დაუფასებელი ყოფილა ჩემი ბებია ლილის ამაგი და ზრუნვა, ოჯახის კერას რომ არ აციებდა. როცა ჩემი მშობლები კურსებისა და დიპლომების მართონში იყვნენ ჩართულნი, ჩვენ ყველაფრით უზრუნველყოფილნი ვიყავით ბებუის მიერ. ის, რომ მე და თეა ადვილად შევეწყეთ ადგილობრივ საზოგადოებას, უდაოდ ჩემი მშობლების დამსახურებაა. მათ აზრდაც არ გაუვლიათ, რომ ჩვენ ჯარში არ გვემსახურა.“

- ვის გავხარ?
- უფრო მამას.
- შენ ამბობ, რომ ბიოლოგია შენი მოწოდებაა, ასე ადვილად დათმე?
- ახალგაზრდები თუ მაღალი ტექნოლოგიებით არიან დაინტერესებულნი, ეს მარტო კარგი ანაზ-



ლაურებით არ არის განპირობებული. ჰაიტექი უკიდევანო სფეროა და კარიერული ზრდაც — უფრო სწრაფი. სწორედ ამ ტექნოლოგიებით მიიღწევა ის, რაც თქვენი თაობისთვის ფანტაზიის დონეზე იყო. მეცნიერებაში წინსვლა, შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს და მიუხედავად ამისა, ჩემს თავს მაინც ბიოლოგიის მეცნიერებაში ვხედავ. მიყვარს ლაბორატორიული კვლევები. საერთოდ ცოცხალი უჯრედის შესაძლებლობების აღმოჩენას, კიდევ არაერთი ათწლეული დასჭირდება.

— გეამაყება, რომ საქართველოდან ხარ?

— რა თქმა უნდა, თავიდან გონებრივად ისევ თბილისში ვიყავი. ისეთ წრეში ვტრიალებდით, სადაც კულტურისა და ხელოვნების ფასი კარგად იცინა. ახლა ისრაელის მკვიდრი და პატრიოტი ვარ. ცოტა ხანში მივლინებით თბილისის მივემგზავრები, სადაც საერთაშორისო ფორუმი ტარდება „გუგელის“, „ინტელისა“ და „მაიკროსოფტის“ ეგიდით. საქართველოს, სომეთისა და აზერბაიჯანის 15-18 წლის თინეიჯერებს გავაცნობთ „veiz“-ის დაპროგრამების სიახლეებს.

— მიგაჩნია, რომ ისრაელი ძლიერი ქვეყანაა?

— უცილობლად, სახელმწიფოებრივი ასაკის მიხედვით, იგი წინ უსწრებს ბევრ განვითარებულ ქვეყანას.

— პოლიტიკაში მემარჯვენე ხარ თუ მემარცხენე?

— „რადიკალურობა და უკიდურესობა არ მახასიათებს პოლიტიკურ საკითხებში. რა თქმა უნდა, მემარჯვენეების სიონისტური იდეების მომხრე ვარ. ისიც არ არის ჩემთვის უცხო, რომ ზღუდის მიღმა, გაჭირვებაში მყოფი, თვალაშმაკრალი ბავშვების ბედზე ზრუნვა, კაცობრიობის პირველადი ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

გაიცანით, 32 წლის, ტექნოლოგიურ მიღწევებთან წილნაყარი, კომპანია „Waze“-ის წარჩინებული, მაგისტრი ლიკა ხარაზიშვილი მამია, რომელიც კიდევ გაგვახარებს თავისი მიღწევებით, ახლა უკვე, ბიოლოგიურ მეცნიერებაში.

ლია კრიხელი



ნეთანიაჰუ პუტინს: შეთანხმებები უნდა შესრულდეს!



11-12 ივლისს ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ ორ დღიანი ვიზიტით მოსკოვში იმყოფებოდა. ვიზიტის მთავარი მიზანი გახლდათ რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმის პუტინთან მოლაპარაკება. მოლაპარაკებების მთავარი თემა კი ირანის ჯარები სირიაში და რუსეთის ქმედებანი იმისათვის, რომ ირანი წავიდეს სირიიდან.

პუტინთან შეხვედრისას ნეთანიაჰუმ თქვა: — ყოველი შეხვედრა ეს არის შესაძლებლობა, რომ რაიმენაირად ჩვენს რეგიონში მდგომარეობა დავასტაბილუროთ, გავაძლიეროთ უსაფრთხოება. გასაგებია, რომ ჩვენი ყურადღება ძირითადად სირიასა და ირანზეა გამახვილებული. ნეთანიაჰუმ პუტინს შეახსენა, რომ რუსეთმა აიღო ვალდებულება დაეხმაროს ისრაელს რათა ირანის ჯარების სირიაში ყოფნა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი: — შეთანხმებები კი უნდა შესრულდეს. ამ საკითხზე ჩვენი აზრი კი ცნობილია: ირანმა სირიის ტერიტორია უნდა დატოვოს. ამას გარდა, ნეთანიაჰუმ რუსეთის პრეზიდენტის ყურადღება მიაქცია იმას, რომ 11 ივლისს დღის მეორე ნახევარში სირიის უპილოტო თვითმფრინავი ისრაელის საჰაერო სივრცეში შეიჭრა, რომელიც ისრაელელებმა გაანადგურეს. ნეთანიაჰუმ აღნიშნა ჩვენ უსათუოდ დავიცავთ ჩვენს ტერიტორიას, ვერ მოვითმენთ ჩვენი საზღვრის დარღვევას. ჩვენ ველოდებით რომ ყველა პატივს სცემს ამათუიმ ქვეყნის სუვერენიტეტს. ისრაელელი მიმომხილველები წერენ, რომ ნეთანიაჰუმ პუტინს მიანიშნა: თუ სირიიდან ირანის ჯარები გავლენ, ისრაელი აღარ შეეცდება ბაშარ ასადის გადაყენებას.

მეხუთე საუკუნის სინაგოგაში

ისრაელში, ქვემო გალილეის სინაგოგაში, არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი იქნა მოზაიკა ბიბლიური სცენებით. ეს არის სცენა ძველი აღთქმიდან, როცა მოსემ აღთქმულ მიწაზე 12 იუდეველი შეგზავნა და დაავალა შეესწავლათ, თუ რაგვარი ადამიანები ცხოვრობენ ქანაანში — აღთქმულ მიწაზე, რამდენად ნაყოფიერია ქანაანის



მიწა, გემრიელია თუ არა ხილი. ძველ აღთქმაში საუბარია ორ ადამიანზე, რომლებმაც მოჭრეს ყურძნის ერთი მტევანი და იგი იმდენად დიდი და მიმე იყო, ორ კაცს მხარზე გადებულნი მოჰქონდა. მეცნიერთა აზრით, მოზაიკაზე სწორედ ეს ეპიზოდი გამოხატულია. ამ არქეოლოგიური გათხრებისას, რომელიც 2012 წლიდან მიმდინარეობს, 12 მოზაიკა აღმოაჩინეს და თორმეტივე ბიბლიურ თემაზეა, ერთ-ერთზე კი სამსონია გამოხატული. ამ მოზაიკების ასაკი დაახლოებით 1600 წელია.

რატომ ატირდა დოქტორმა ფროიდი?

უკვე ძალიან მოხუცი და ავადმყოფი იყო, ძლივს დაფარვატებდა, დიდი დღეც აღარ ეწერა, ხელისუფლება ნაცისტებმა იგდეს ხელთ, მისი დები საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპნენ, წიგნები კი მოედნებზე დაწვეს. ყველაფერი დაკარგა: სახლი, კლიენტურა, რომელიც მთელი ევროპიდან მოდიოდა მასთან, ძვირფასი სტატუეტები, რომლებსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში აგროვებდა, მაგრამ ამის

გამო არ უტირია — ცრემლები მაშინ წასკდა, როცა ხავერდის ხალიჩაზე დადგა ფეხი — ის ხალიჩა დაუფინეს და იმაზე უნდა გაეელო, რომელზეც ოდესღაც ნაპოლეონ ბონაპარტე დადიოდა. ხალიჩის მის — ფროიდის ფეხებზე — დაგების განკარგულება კი იმპერატორ ნაპოლეონის შვილთაშვილმა — მარია ბონაპარტემ გასცა.

მარია ბონაპარტემ ფროიდი საკონცენტრაციო ბანაკში სიკვდილისაგან იხსნა — ფაშისტებისაგან გამოიხსნა. გებელსთან მივიდა და წინადადება მისცა ეგ მოხუცი დოქტორი მომყიდეთო — ებრაელი იყო და ავსტრიიდან გასვლა აუკრძალეს, საკონცენტრაციო ბანაკში გამოამწყვდევდნენ და ისევე მოკლავდნენ, როგორც სხვებს მოუღეს ბოლო. მარია ბონაპარტეს შეთავაზებაზე გებელს გაეცინა და პრინცესას უთხრა ეგ მოხუცი თქვენი ორი ციხე-კოშკი ღირსო, თქვენი ორი ციხე-კოშკი გადმო-მიფორმეთ და ეგ თქვენი ბებრუხანა ურია, სადაც გინდათ, იქ წაიყვანეთ, თუ არადა, აქ მისგან სამახსოვროდ აბაჟურს გავაკეთებთო.

ბონაპარტეს შვილთაშვილი ორ ციხე-კოშკს ფლობდა. — მე ბონაპარტე ვარ, ჩემი სახელი ყველაფერს მირჩევნია — მასწავლებლისთვის არაფერს დავიშურე, თქვენი კი ეშმაკმა წავიღოთ! — და გებელს მშვიდად გადასცა თავისი ორი ციხე-კოშკი.

ფაშისტები კი ალბათ, იცინოდნენ, ხარხარებდნენ: არანორმალურია, ამ სიკვდილის პირას მისული მოხუცი ურისათვის როგორ შეიძლება ორი ციხე-კოშკი გაიმეტო, ნამდვილად ურევს, ტყუილად კი არ სწავლობდა და მკურნალობდა ამ მოხუცთან! და მოხუცმა იმპერატორის ხალიჩაზე რომ გაიარა, ცრემლები სდიოდა. პრინცესა მარია და მისი მეუღლე გიორგი ყვავილებით ხვდებოდნენ. მუსიკით ეგებებოდნენ — გამარჯვების მუსიკით. სიკეთემ გაიმარჯვა. იმ ორმა ციხე-კოშკმა გებელს ვერა-რა ბედნიერება ვერ მოუტანა. და როდესაც სიკეთემ კიდევ ერთხელ სძლია ბოროტებას — ფაშისტები დამარცხდნენ, გებელსმა თვითმკვლელობა არჩია.

Plus.google.com



მარი ბონაპარტე — (1882-1962) საბერძნეთისა და დანიის პრინცესა, ნაპოლეონ ბონაპარტეს შვილთაშვილი, ფსიქოანალიტიკოსი, ფროიდის შრომების პოპულიზატორი და მისი მეუღლე გიორგი. შუაში ზიგმუნდ ფროიდი.

უკრაინელი მშენებლები ისრაელში

130 უკრაინელი მშენებელი, რომლებმაც გააფორმეს შრომითი ხელშეკრულება, უკვე ისრაელში ჩავიდნენ. შრომითი კონტრაქტი ითვალისწინებს ისრაელელ მუშებთან გათანაბრებულ პირობებს: მაღალი ხელფასი, სოციალური გარანტიები და სამედიცინო დაზღვევა. შრომითი ხელშეკრულება ერთწლიანია, მაგრამ შესაძლოა გაგრძელდეს, ამას გარდა, მათ არ ექნებათ არალეგალური მუშის სტატუსი. იმის გამო, რომ ისრაელი განიცდის საამშენებლო სფეროში კვალიფიციური სპე-



ციალისტებისა და მუშათა უკმარისობას, დაინყეს მუშების სხვადასხვა ქვეყნიდან ჩაყვანა. ამასწინათ ისრაელში ჩავიდა 800 მშენებელი, სამი ათასი მუშა ჩავა მოლდავეთიდან. ყველაზე დიდი კვოტა მაინც უკრაინას ხვდა წილად: იმ უკრაინელთა რაოდენობა, რომელმაც შესაძლოა ისრაელში სამუშაო ვიზა მიიღონ ოცი ათასამდე აღწევს.

Publication information including publisher details (დავფუძნებელი და გამომცემელი), address (თბილისი, ლეონიძის 11), phone number (299.90.96, 277.20.57), and subscription information (რედაქტორი, ბურამ ბათიაშვილი, ISSN 1987-8982 UAC 070).